იდენტობის ფორმირების პროცესები, ქართველ სტუდენტებში

თამთა ფურცელაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების და ხელოვნებისფაკულტეტზესოციალური ფსიქოლოგიისმაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი, პროფესორი

ილიასსახელმწიფოუნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

კვლევის მიზანი იყო გამერკვია, თუ როგორ მიმდინარეობს იდენტობის ჩამოყალიბების პროცესები ქართველ ახალგაზრდებში. იდენტობის პროცესების ფორმირებას მრავალ ქვეყანაში იკვლევენ კუნ ლუქსის მიერ შემუშავებული მოდელით, სადაც გამოიყოფა ხუთი პროცესი. ამ მოდელს ამოწმებენ იგივე ავტორის კითხვარით. ამ კითხვარით წარიმართა კვლევა საქართველოშიც, სადაც გამოიკვეთა, რომ კითხვარში გამოყოფილი იდენტობის ფორმირების პროცესები არ დაემთხვა საქართველოს რეალობას. ამ დებულების გადამოწმების მიზნით, საჭირო გახდა, სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარება. კვლევის პროცესში დამუშავდა ოცდათერთმეტი მონაწილის მონაცემი, შედეგები დავამუშავე თემატური ანალიზით,კუნ ლუქსის ხუთგანზომილებიანი მოდელის მიხედვით.

შედეგად მივიღე, რომ ქართველ ახალგაზრდებში შეინიშნება ტენდენცია, რომ ჯერ ხდება გადაწყვეტილების მიღება და შემდეგ იწყება ალტერნატივების ძიება. მსგავსი მოდელი არ ემთხვევა დასავლეთის შედეგებს. მათთან ჯერ არის ძიების პროცესები და ამის შემდეგ გადაწყვეტილების მიღება და მასთან იდენტიფიკაცია.

ძირითადი საძიებო სიტყვები: იდენტობა, იდენტობის ფორმირება, სიღრმისეული ინტერვიუ, “DIDS”.